„დემოკრატია, ადამიანის უფლებები და რელიგია“

კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლა აცხადებს კონკურსს პრაქტიკული ფილოსოფიის მიმართულებით დოქტორანტის ორ სასტიპენდიო პოზიციაზე

I. კონკურსის გამოცხადება

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და **მიუნსტერის ვესტფალური ვილჰელმის უნივერსიტეტის (გერმანია)** ერთობლივი პროექტი კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას კოტუტელის პრინციპზე დაფუძნებული მოდელით ჩაატარონ სადოქტორო კვლევა პრაქტიკულ ფილოსოფიაში. დოქტორანტ სტუდენტებს ეყოლებათ ხელმძღვანელები და ჩაატარებენ კვლევას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა (თბილისი, საქართველო) და მიუნსტერის უნივერსიტეტში (მიუნსტერი, გერმანია) (კვლევის პერიოდი მიუნსტერის უნივერსიტეტში მთლიანობაში შეადგენს მაქსიმუმ 12 თვეს). ერთობლივი სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს სასწავლო ღონისძიებებს, როგორიცაა სემინარები და საზაფხულო სკოლები. დოქტორანტის კვლევას უხელმძღვანელებენ ორივე უნივერსიტეტის პროფესორები, რომლებიც შესაბამის სფეროში გამორჩეული ექსპერტები არიან. სადოქტორო პროექტის წარმატებით დასრულების შემდეგ დოქტორანტს დოქტორის ხარისხი მიენიჭება მიუნსტერის უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისგან მხოლოდ ერთი დისერტაციის საფუძველზე. ცხადდება **შვიდი სადოქტორო სტიპენდია პრაქტიკული ფილოსოფიის მიმართულებით**. გერმანიის **ფოლკსვაგენის ფონდის (Volkswagen Stiftung)** დაფინანსებით გაიცემა **სრული სტიპენდია** (თვეში 500 ევროს ოდენობით). საკვლევი ვიზიტები გერმანიაში (წელიწადში 4 თვე) დაფინანსდება დამატებითი სტიპენდიით (თვეში 900 ევროს ოდენობით).

II. საკვლევი თემები

ერთობლივი პროგრამის საერთო თემაა დაძაბული ურთიერთმიმართება დემოკრატიას, ადამიანის უფლებებსა და რელიგიას შორის. შესაძლებელია დაფინანსდეს მორალურ და პოლიტიკურ თეორიებთან და სამართლის ფილოსოფიასთან დაკავშირებული საკვლევი თემების ვრცელი ნაირსახეობა. ამგვარად, კვლევითი პროექტები შესაძლებელია ფოკუსირდეს აღნიშნულ სფეროებთან დაკავშირებულ აქტუალურ კითხვებზე და იკვლევდეს კლასიკურ ფილოსოფიურ შეხედულებებს რელიგიის, მორალის, პოლიტიკისა და საზოგადოების ურთიერთმიმართებაზე, ან სამართლებრივი პრინციპების ნორმატიულ საფუძვლებზე, რომლებიც არეგულირებენ რელიგიის როლს საზოგადოებაში. მნიშვნელოვანია, რომ, **კონკრეტული თემები წინასწარ არ არის განსაზღვრული** და **განმცხადებლებმა უნდა შემოგვთავაზონ მათ მიერ შერჩეული საკვლევი თემა**.

III. კონკურსში მონაწილეობის წინაპირობები

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, აპლიკანტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- მაგისტრის ხარისხი (უმჯობესია ფილოსოფიის ან პროგრამის საკვლევ თემებთან დაკავშირებული სხვა მიმართულებებით);
- ენობრივი კომპეტენცია:
  - ინგლისური ენის ფლობა უცხო ენების ცოდნის საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) მინიმუმ B2 დონეზე.

    ან ალტერნატიულად
  - გერმანული ენის ფლობა უცხო ენების ცოდნის საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) მინიმუმ B2 დონეზე. ამ შემთხვევაში ინგლისური ენის ფლობა მინიმუმ B1 დონეზე მაინც დარჩება აუცილებელ წინაპირობად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამაზე ჩასარიცხად.
- **მხოლოდ იმ აპლიკანტებისთვის ვისი მშობლიური ენა არ არის ქართული:** ქართული ენის ფლობა უცხო ენების ცოდნის საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) მიხედვით მინიმუმ B2 დონეზე აუცილებელი წინაპირობაა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებზე ჩასარიცხად და უნდა დაამტკიცოს შესაბამისი ენის გამოცდით.
- **სრული დროის დათმობა:** ერთობლივი სადოქტორო პროგრამის მონაწილეებმა თავიანთი სრული სამუშაო დრო უნდა დაუთმონ სადოქტორო პროექტს. სტიპენდიის სანაცვლოდ მონაწილეებისგან მოითხოვება უარის თქმა სადოქტორო პროექტის პარალელურად სხვა დამატებითი არააკადემიური დასაქმების შესაძლებლობებზე.

გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში, სოციალურ-ეკონომიკური ან/და ჯანმრთელობის პრობლემის მქონე კანდიდატების მონაწილეობა განსაკუთრებით სასურველია და ერთნაირი კვალიფიკაციის, ცოდნის და უნარ-ჩვევების შემთხვევაში, შერჩევის პროცესში მათ მიენიჭებათ შედარებითი უპირატესობა.

კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლა მხარს უჭერს ყველა მონაწილის თანაბარ შესაძლებლობებსა და მათ ჩართულობას, მიუხედავად სქესის, ასაკის, სექსუალური ორიენტაციის, რელიგიის თუ იდეოლოგიის, შეზღუდული შესაძლებლობის თუ ქრონიკული დაავადების, ეთნიკური და სოციალური წარმომავლობისა. ზემოთ ნათქვამი მიზნად ისახავს წაახალისოს მოწყვლადი ჯგუფები და სპეციალური საჭიროების მქონე პირები.

IV. განაცხადის წარდგენა და ვადები

- განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე. ყველა დოკუმენტი, რომელიც გაცემულია ინგლისურის გარდა სხვა ენაზე, წარმოდგენილი უნდა იყოს ნოტარიულად დამოწმებულ ინგლისურ თარგმანთან ერთად.
- განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს **ელ-ფოსტის მისამართზე:** tiko_kadagishvili@iliauni.edu.ge კონკურსის ვადის დასრულებამდე. გთხოვთ, წერილის სათაურში მიუთითოთ „**Application DHR**".

- საკონკურსო დოკუმენტაცია (იხ. ქვემოთ VI.) უნდა გაერთიანდეს და აიტვირთოს PDF ფორმატში (მხოლოდ ერთი დანართის სახით!). სხვა ფორმატის ფაილები არ განიხილება.
- განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა **2020 წლის 30 მარტი, 18:00 საქართველოს დროით (GET)**.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ განიხილება მხოლოდ სრულყოფილი და კონკურსის ვადებში მიღებული განაცხადები.

V. შერჩევის პროცედურა

1. წინაშესარჩევი ეტაპი

განხილული იქნება მხოლოდ სრულყოფილი და დადგენილ ვადებში შემოსული განაცხადები. წინაშესარჩევი ეტაპი ეფუძნება აპლიკაციების გადარჩევას, რის შემდეგაც, მხოლოდ წინასწარ შერჩეული აპლიკანტები გადავლენ კონკურსის შემდგომ ეტაპზე. წინაშესარჩევი ეტაპის დასრულებისთანავე ყველა აპლიკანტი ელ-ფოსტის საშუალებით მიიღებს შეტყობინებას. კონკურსის წინაშესარჩევ ეტაპზე გადაწყვეტილება ერთობლივად მიიღება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და მიუნსტერის უნივერსიტეტის პროგრამის წარმომდადგენლების მიერ.

2. გასაუბრება/ენის გამოცდა

შემდგომ ეტაპზე წინასწარ შერჩეული კანდიდატები გაივლიან გასაუბრებას უნივერსიტეტის შესარჩევ კომისიასთან. გასაუბრების წარმატებით გავლის შემთხვევაში მათ დაენიშნებათ ენის გამოცდა(საჭიროების შემთხვევაში).

3. საბოლოო შერჩევა

საბოლოო კანდიდატების შერჩევაზე თანხმობას აცხადებს მიუნსტერის უნივერსიტეტი, საჭიროების შემთხვევაში კანდიდატები გაივლიან დამატებით გასაუბრებას მათ კომისიასთან. შედეგების შესახებ ინფორმაცია აპლიკანტებს ეგზავნებათ ელ-ფოსტით და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

4. დოქტორანტურაში მიღება

მას შემდეგ რაც კანდიდატი დაადასტურებს მიღებულ შემოთავაზებას, დაიწყება ჩარიცხვის პროცედურა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში.

***იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი იქნება უცხოური (არაქართული) საგანმანათლებლო დოკუმენტაცია:** გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა დამოკიდებულია რელევანტური აკადემიური ხარისხის სერტიფიკატების და მათი დანართების (ნიშნების ფურცელი, შეფასების სქემები და ა.შ.) აღიარებაზე საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. მიღება ვერ განხორციელდება თუ ნებისმიერი მიზეზის გამო სერტიფიკატები და მათი დანართები არ იქნება აღიარებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

VI. მოთხოვნილი დოკუმენტაცია

სრულყოფილი განაცხადი უნდა შედგებოდეს შემდეგი დოკუმენტებისაგან:

- შევსებული და ხელმოწერილი სააპლიკაციო ფორმულარი
- სამოტივაციო წერილი (მაქსიმუმ 2 გვერდი)
- კვლევითი განაცხადი (Exposé), რომელიც აღწერს შემოთავაზებული საკვლევი თემის რელევანტურობას, საკვლევ კითხვებს, მეთოდოლოგიას, კვლევის დროით გეგმას, წყაროებს, ლიტერატურის მიმოხილვას (10-15 გვერდი)
- ავტობიოგრაფია (CV)
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლი
- შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატები/დიპლომები და მათი დანართების ასლები (ნიშნების ფურცელი, შეფასებისი სქემა და ა.შ.)
- არსებობის შემთხვევაში: რელევანტური პუბლიკაციების სია და აბსტრაქტები
- მინიმუმ ორი აკადემიური რეკომენდატორის საკონტაქტო ინფორმაცია (რეკომენდატორი უნდა ფლობდეს მინიმუმ დოქტორის ხარისხს)
- **ინლისური ენის სამუშაო ენად არჩევის შემთხვევაში:** ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის (CEFR) ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო ვალიდური სერტიფიკატიდან ერთ-ერთი: TOEFL (P/BT მინიმუმ 513 points; I/BT მინიმუმ 65 points), IELTS (მინიმუმ 5.5 points), FCE **ან** შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატი-Certus, რომელიც ადასტურებს კანდიდატის ინგლისური ენის კომპეტენციას პროგრამით გათვალისწინებულ მინიმუმ B2 დონეზე **ან** ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი.
  - აპლიკანტებმა, რომლებიც ვერ წარმოადგენენ ზემოთ აღნიშნული სერტიფიკატებიდან ერთ-ერთს უნდა დაადასტურონ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა ინგლისური ენის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაზე. გამოცდის მინიმალური ბარიერია 65 ქულა 100 ქულიდან.
- **გერმანული ენის სამუშაო ენად არჩევის შემთხვევაში:** გერმანული ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის (CEFR) ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო ვალიდური სერტიფიკატიდან ერთ-ერთი: TestDaF (Test Deutsch als Fremdsprache), DSH (Deutsche Sprachprüfung für den Hochschulzugang), ZOP (Zentrale Oberstufenprüfung), KDS (Kleines Deutsches Sprachdiplom), GDS (Großes Deutsches Sprachdiplom) **ან** გერმანულენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატი/დიპლომი.
  - აპლიკანტებმა რომლებიც ვერ წარმოადგენენ ზემოთ აღნიშნული სერტიფიკატებიდან ერთ-ერთს უნდა დაადასტურონ გერმანული ენის B2 დონეზე ცოდნა გერმანული ენის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაზე. გამოცდის მინიმალური ბარიერია 65 ქულა 100 ქულიდან.
  - გარდა ამისა წარმოსადგენია: ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B1 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო ვალიდური სერტიფიკატიდან ერთ-ერთი: TOEFL (P/BT მინიმუმ 437 points; I/BT მინიმუმ 41 points), IELTS (მინიმუმ 4 points), FCE **ან** შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატი-Certus, რომელიც ადასტურებს კანდიდატის ინგლისური ენის კომპეტენციას პროგრამით გათვალისწინებულ მინიმუმ B1 დონეზე **ან** ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატი/დიპლომი **ან** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული შიდასაუნივერსიტეტო ინგლისური ენის გამოცდაზე მიღებული მინიმუმ 40 ქულა 100 ქულიდან.

The Carl Friedrich Lehmann-Haupt International Doctoral School

"Democracy, Human Rights and Religion"
Seven Ph.D. Scholarship Positions in Practical Philosophy – Call for Applications

I. Announcement of the Scholarship Positions

The joint project between **Ilia State University Tbilisi (ISU)** and the **Westfälische Wilhelms-Universität Münster (WWU)** offers graduates the opportunity to pursue doctoral research in Practical Philosophy within a structured Cotutelle-based framework. The Ph.D. students will undergo supervision and conduct doctoral studies at ISU in Tbilisi/Georgia and WWU in Münster/Germany (research period at WWU max. 12 months in total). The joint doctoral program provides disciplinary events, such as seminars and summer schools, as well as co-supervision by professors from each university with excellent expertise in their relevant research fields. Upon successful completion of the Ph.D. project doctoral degrees from WWU and ISU can be obtained on the basis of only one single dissertation. **Seven scholarships** are announced in the discipline **Practical Philosophy**. Funding granted by the German **Volkswagen Stiftung** allows for the allocation of a **full scholarship** (500 Euro per month). Research stays in Germany (4 months per year) will be funded with an additional scholarship (900 Euro per month).

II. Research Topics

The overall subject of the joint program is the relation of significant tension between democracy, human rights and religion. A wide variety of topics from moral and political theory and the philosophy of law are eligible for funding. Thus, the research projects can focus on topical questions relating to the mentioned areas as well as investigate classical philosophical positions on the relation between religion, morals, politics and society, or on the normative foundations of legal principles governing the role of religion in society. However, there are **no specific subjects predefined** and **applicants are expected to propose a research topic of their own** along with their application.

III. Eligibility Criteria / Prerequisites

To be considered eligible to apply the following criteria have to be met by the applicant:

- Master's Degree (preferably in Philosophy or in a discipline related to the research topics of the program)

- Language Requirements:
  - English language proficiency of at least B2 according to the Common European Framework of Reference for Languages (CEFR).

    or alternatively
  - German language proficiency of at least B2 according to the Common European Framework of Reference for Languages (CEFR). In this case English language proficiency of at least B1 remains a compulsory requirement for the admission to doctoral studies at ISU's School of Arts and Sciences!
- **Only for applicants who are not native speakers of Georgian:** In order to get formally admitted to doctoral studies at ISU a command of Georgian of at least B2 according to the Common European Framework of Reference for Languages (CEFR) is required and must be demonstrated in an exam.
- **Full-Time Commitment**: Only candidates who will devote their full time to their Ph.D. project can be accepted. In return for the full scholarship the participants are expected not to seek additional non-academic employment alongside their Ph.D. project.

In the framework of this Call for Applications, persons with disadvantaged backgrounds are strongly encouraged to apply and, in cases of equal qualification, aptitude and expertise, they will be given preferential consideration in selection.
The Carl Friedrich Lehmann-Haupt International Doctoral School promotes equal opportunities and inclusion for all participants regardless of gender, age, sexual orientation, religion or ideology, disability and chronic illness, ethnic and social background. The actions aim at facilitating access to the participants with disadvantaged groups and special needs.

IV. Submission of the Application and Deadline

- Applications must be submitted in English. Documents issued in languages other than English can only be recognized if submitted in combination with a notarially certified translation.
- Applications must be submitted by **E-Mail to:** tiko_kadagishvili@iliauni.edu.ge by the end of the application deadline. Please indicate "**Application DHR**" in the subject line.
- The application documents (see below under VI.) must be compiled into one PDF (one e-mail attachment only!). Other file formats will not be accepted.
- The application deadline is **February March 30, 2020, 18:00 Georgian time (GET)**.

Please note that only complete applications submitted by the end of the application deadline will be considered.

V. Selection Procedure

1. Pre-Selection Phase

Complete applications that meet all criteria will be reviewed. The pre-selection phase is based on the submitted application documents. Only short listed applicants will be admitted to interviews and language exam(if needed). All applicants will be informed via e-mail after the pre-selection phase has been completed. On pre-selection stage decisions are made mutually by representatives of Ilia State University and University of Munster.

Each preselected candidate will be informed about the date/time of an exam and the interview.

2. /Interviews/language Exams

The next stage will consist of personal interviews. Those candidates, who sucsessfully conduct the interviews will have the language exam(if needed)

3. Final Selection

Information on the candidates selected as participants of the program will be sent for review to WWU. Final approval of the selected candidates has to be given by WWU and, if required, additional interviews can be held with their selection committee. The results will be announced via e-mail and on the ISU website.

4. Admission

Upon acceptance of the offer by the candidate, the enrollment and admission procedures at ISU will get started*.

***In case foreign (non-Georgian) educational documents have been submitted with the application:** Please note that the admission to doctoral programs at ISU is subject to the recognition of the relevant academic degree certificates and their supplements (transcripts of records, grading scales etc.) by the National Center for Educational Quality Enhancement (NCEQE) of Georgia! Admission cannot take place if for any reason the certificates and their supplements cannot be recognized by the NCEQE.

VI. Required Documents

A complete application must consist of the following documents:

- Completed and signed Application Form
- Letter of Motivation (max. 2 pages)
- Research Proposal/Exposé explaining the relevance of the proposed research subject, research question(s), methodology, work-time-schedule, sources, literature overview (10-15 pages)
- Curriculum Vitae
- Copy of a Proof of Identity (ID Card or Passport)
- Copies of relevant Academic Degree Certificates/Diploma and their Supplements (Transcripts of Records, Grading Scales etc.)
- If available: List and Abstracts of relevant Publications
- List of at least two Academic References (at least Ph.D. Holder) with Contact Data

- **In case of English as language of instruction:** Valid Proof of English Language Proficiency of at least B2 according to the CEFR. Accepted certificates and scores are: TOEFL (P/BT min. 513 points; I/BT min. 65 points), IELTS (min. 5.5 points), FCE **or** a valid certificate issued by the National Evaluation and Examination Centre Certus which gives evidence of the candidate's English language proficiency of at least B2 **or** a certificate/diploma issued upon the completion of a Bachelor's or a Master's program taught in English.
  - Applicants who cannot present one of the above mentioned certificates have to prove their English language proficiency of at least B2 through a minimum score of 65 out of 100 points obtained in an English exam administered by ISU.
- **In case of German as language of instruction:** Valid proof of German language proficiency of at least B2 according to the CEFR. Accepted certificates are: TestDaF (Test Deutsch als Fremdsprache), DSH (Deutsche Sprachprüfung für den Hochschulzugang), ZOP (Zentrale Oberstufenprüfung), KDS (Kleines Deutsches Sprachdiplom), GDS (Großes Deutsches Sprachdiplom) **or** a certificate/diploma issued upon the completion of a Bachelor's or a Master's program taught in German.
  - Applicants who cannot present one of the above mentioned certificates have to prove their German language proficiency of at least B2 through a minimum score of 65 out of 100 points obtained in a German exam administered by ISU.
  - Additionally: Valid proof of English language proficiency of at least B1 according to the CEFR. Accepted certificates and scores are: TOEFL (P/BT min. 437 points; I/BT min. 41 points), IELTS (min. 4 points), FCE **or** a valid certificate issued by the National Evaluation and Examination Centre Certus which gives evidence of the candidate's English language proficiency of at least B1 **or** a certificate/diploma issued upon the completion of a Bachelor's or a Master's program taught in English **or** a score of 40 out of 100 points obtained in an English exam administered by ISU.